საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთავრობა

მთავრობა, ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, სახელმწიფოს მართვაში ჩართულ ადამიანთა ან ორგანოთა სისტემა. მ. ადგენს და წარმართავს სახელმწიფოს პოლიტიკას. მისი საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი დოკუმენტია კონსტიტუცია ან მ-ის სახელმძღვანელო პრინციპების დამდგენი კანონები.

ინგლისურენოვან ქვეყნებში მ-ის შესატყვისი Government ზოგჯერ უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარება, ვიდრე უშუალოდ მ. და მასში მოიაზრება ხელისუფლების მთელი სისტემა, მ. შ. სახელმწიფოს მეთაურიც (პრეზიდენტი).

თანამედროვე პოლიტიკურ სისტემებში, რ-თაგან უმეტესობა დემოკრატიაა, ხელისუფლება განაწილებულია სამ შტოდ: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. ამ ხელისუფლებებიდან მ. არის კოლეგიური ორგანო, რ-იც ახორციელებს აღმასრულებელ და განმკარგულებელ საქმიანობას. სხვადასხვა ქვეყანაში მ-ს უწოდებენ ადმინისტრაციას, მინისტრთა საბჭოს ან მინისტრთა კაბინეტს. მ-ის წევრები უმეტესად მინისტრები არიან. მ-ში ასევე შეიძლება შედიოდნენ საბჭოები, კომისიები და სხვ.

მ-ის ფორმირების წესი სახელმწიფოს პოლიტ. მოწყობაზეა დამოკიდებული. საპრეზიდენტო რესპუბლიკებსა და ზოგიერთ კონსტიტუციურ მონარქიაში მ-ს უფლებამოსილებას ანიჭებს პრეზიდენტი ან მონარქი და პასუხისმგებელია მის წინაშე. საპარლამენტო რესპუბლიკაში საპარლამენტო პარტიების ლიდერთა ჯგუფისგან ყალიბდება მ., რ-იც პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკებში სახელმწიფოს მეთაური (პრეზიდენტი) პრემიერ-მინისტრის პოსტზე ნიშნავს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პარტიის წარმომადგენელს, რ-იც წარადგენს მინისტრების კანდიდატურებს.

საქართველოში მ-ის ფორმირება ხდება საქართველოს კონსტიტუციით (1995) დადგენილი წესით, რ-შიც მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა 2017-18 წლებში. საქართვ. მ. არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რ-იც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მ. ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. მას წარადგენს არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტ. პარტიის მიერ წამოყენებული პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი. მ-ს ნდობას უცხადებს პარლამენტი, შემდეგ კი საქართვ. პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი — მინისტრებს.

საქართვ. მ. შედგება პრემიერ-მინისტრისა (მ-ის მეთაური) და მინისტრებისაგან. საგარეო ურთიერთობებში პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს საქართველოს, დებს საერთაშ. ხელშეკრულებებს, ხელს აწერს მ-ის სამართლებრივ აქტებს, არის პრეზიდენტის ზოგიერთი სამართლებრივი აქტის თანახელმომწერი, იღებს გადაწყვეტილებას საომარი მდგომარეობის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ.

საქართვ. კონსტიტუციასთან ერთად მ-ის უფლებამოსილება განისაზღვრება საქართვ. კანონით „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ (2004) და სხვა ნორმატიული აქტებით.

ი. უჯმაჯურიძე